ახალგაზრდა
პედაგოგთა კავშირი

საჯარო სკოლების თვითშეფასება

დამხმარე მეთოდური მასალები საჯარო სკოლების ადმინისტრაციებისათვის

2010

საჯარო სკოლების
თვითშეფასება

დამხმარე მეთოდური მასალები
საჯარო სკოლების ადმინისტრაციებისათვის

გამოცემაზე მუშაობდა ჯგუფი:

მზია მეხუზლა (ჯგუფის ხელმძღვანელი)
ლევან მჟავანაძე
თეა კუპრაძე

გამოცემაზე მუშაობის დროს გამოყენებულ იქნა ასოციაცია „სკოლა – ოჯახი – საზოგადოების“ მიერ მომზადებული სახელმძღვანელოს „სკოლების განახლება საქართველოში“ მასალები.

„ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ პროექტი:
„განათლების სისტემის სამართლებრივი მონიტორინგი
გურიის რეგიონის მაგალითზე“
პროექტის დირექტორი: **მარინა თოფურია**

პროექტი დაფინანსდა ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მიერ შვეიცარიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) სახსრებით.

ოზურგეთი
2010 წელი

წინასიტყვაობა

სკოლის საქმიანობის სრულყოფა შეუძლებელია ფაქტობრივი მდგომარეობის პერიოდული ანალიზის გარეშე. მხოლოდ მის შედეგებზე დაყრდნობითაა შესაძლებელი გეგმების დასახვა საქმიანობის გასაუმჯობესებლად და მათი რეალიზება. ასეთ ყოველმხრივ ანალიზს, რომელიც ტარდება საკუთარი ძალებით, მსოფლიო პრაქტიკაში სკოლის თვითშეფასება ეწოდება.

თვითშეფასება ხელს უწყობს სკოლას, გაერკვიოს საკუთარ სუსტ და ძლიერ მხარეებში და დაგეგმოს თავისი საქმიანობა, რაც დაეხმარება მიზნების მიღწევაში.

საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ „თვითშეფასებას“ შემდეგნაირად განსაზღვრავს: „სკოლის მიერ მიმდინარე სასწავლო პროცესის ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტთან, ეროვნულ სასწავლო გეგმებთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ნორმატივებთან შესაბამისობის შემოწმება. თვითშეფასების პროცესში მონაწილეობენ სკოლის მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები“.

სასურველია, სკოლის დირექციის ან სამეურვეო საბჭოს ინიციატივით სკოლაში შეიქმნას მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი, რომელიც პერიოდულად განახორციელებს თვითშეფასებას, მიიღებს მონაწილეობას დაგეგმვასა და მონიტორინგში, აქტიურად იქნება ჩართული სასკოლო ცხოვრებაში.

საჯარო სკოლის თვითშეფასებას სპეციფიკური ცოდნა და უნარ-ჩვევები სჭირდება. საჭიროა სოციოლოგიური მეთოდების გარკვეული ცოდნა, ინფორმაციის შეგროვებისა და მისი შემდგომი ანალიზის უნარ-ჩვევების ფლობა.

მოცემული სახელმძღვანელოს მომზადებამდე ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა საჯარო სკოლების თვითშეფასების მიმართ არსებული მიდგომები, მეთოდოლოგიები და საჯარო სკოლებში არსებული რეალობა. როგორც ვვარაუდობდით, აღმოჩნდა, რომ ყველაზე დიდ სირთულეს ინფორმაციის შეგროვების შემდეგ ანალიზისათვის მისი მომზადება წარმოადგენს.

შესაბამისად, ჩვენ მიერ მომზადებულ მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოს, რომელსაც თან ახლავს თვითშეფასების კითხვარი და ანკე-

ტირების შედეგების დათვლის ავტომატიზებული სისტემა Excel-ის ელექტრონული ცხრილის სახით, საჯარო სკოლებს განსხვავებულ მიდგომას სთავაზობს (მასში მონაცემების შეტანის შემდეგ პირველად მათემატიკურ ანალიზს ვიღებთ).

ვფიქრობთ, წინამდებარე სახელმძღვანელო გამოადგება საჯარო სკოლებს, გაუადვილებს ინფორმაციის დამუშავების პროცესს და საშუალებას მისცემს მათ, დამოუკიდებლად განახორციელონ თვითშეფასების პროცესი.

სარჩევი

წინასიტყვაობა 3

თვითშეფასება - საჯარო სკოლის
განახლების საფუძველი.....6

კრიტერიუმების განსაზღვრა
სკოლის საქმიანობის შესაფასებლად 8

ვინ ატარებს თვითშეფასებას?.....8

როდის ტარდება თვითშეფასება?.....9

თვითშეფასების მეთოდოლოგია 9

სკოლის მოსარგებლეთა ანკეტირება
სკოლის თვითშეფასების მიზნით.....11

თვითშეფასება - საჯარო სკოლის განახლების საფუძველი

XXI საუკუნე ინფორმაციის საუკუნეა. დინამიკური, სწრაფად ცვალებადი სამყარო სკოლების წინაშე ახალ სირთულეებს წარმოშობს. იზრდება სკოლის მომხმარებელთა მოთხოვნები, ვითარდება ტექნოლოგიები, იცვლება კონკურენციის პირობები. ამიტომაც ნებისმიერი სკოლის წარმატებული მუშაობა წარმოუდგენელია მისი საქმიანობის მუდმივი სრულყოფის გარეშე. შესაბამისად, სკოლის განახლების პროცესის წარმართვა საშუალებას აძლევს სკოლას, შეაფასოს თავისი შესაძლებლობები და საფრთხეები. საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზზე დაყრდნობით სკოლას ეძლევა შესაძლებლობა, თავიდან აიცილოს პრობლემები და მიაღწიოს წარმატებას.

სკოლა თავად უნდა ცდილობდეს საკუთარი მომავლის მართვას და პასიურად არ უნდა ელოდოს, როდის იჩენს თავს პრობლემა და როდის მოუგვარებს მას ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლება ან დონორი ორგანიზაციები.

ზოგადად, სკოლის განახლება უწყვეტი პროცესია. სკოლის განახლების ერთი ციკლი 5 ძირითად საფეხურს გულისხმობს:

I საფეხური — სკოლის განახლების საკითხებზე მომუშავე საინიციატივო ჯგუფის ჩამოყალიბება

II საფეხური — თავდაპირველი თვითშეფასება

III საფეხური — სკოლის განვითარების სტრატეგიული და 1-წლიანი ოპერაციული გეგმების შემუშავება

IV საფეხური —განვითარების სტრატეგიული გეგმის განხორციელება და მისი აღსრულების მონიტორინგი

V საფეხური — მიღებული შედეგების შეფასება (სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის აღსრულების შეფასება)

ზემოთ ჩამოთვლილ საფეხურთაგან თითოეული მნიშვნელოვანია თავისი დატვირთვით, მაგრამ მათგან შეიძლება გამოვყოთ თავდაპირველი თვითშეფასების პროცესი, რომელიც არსებული მდგომარეობის კრიტიკულ ანალიზს მოიაზრებს. თავდაპირველი თვითშე-

ფასება — ეს არის ერთგვარი პირველადი „დიაგნოზი“, რომელიც საშუალებას გვაძლევს, მომზადდეს საფუძველი სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმისთვის. აღნიშნული დიაგნოზის მიხედვით „მკურნალობას“ სკოლა ხარისხობრივად ახალ გარემოში გადაჰყავს.

თვითშეფასება თავისი არსით, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობის კრიტიკული ანალიზია, რომელიც ეხმარება სკოლას, შეისწავლოს, შეაფასოს, განსაზღვროს და დაგეგმოს ის საქმიანობა, რომელიც მიზნების მიღწევაში დაეხმარება. სკოლა შეარჩევს მოქმედების ამა თუ იმ სქემას, გამოსცდის პრაქტიკაში და შეისწავლის მიღებულ შედეგებს, რის საფუძველზეც ხელახლა გადახედავს სტრატეგიას და, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო ცვლილებებს შეიტანს მასში.

თვითშეფასება — ეს არის მონაცემთა შეკრებისა და გაანალიზების პროცესი მდგომარეობის კვლევის მიზნით, რაც სკოლას რეალურ საჭიროებებზე დამყარებული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას აძლევს.

სკოლის თვითშეფასების შემთხვევაში უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება არა შექმნილ დოკუმენტს, არამედ პროცესს, რადგანაც ის შეიცავს ანალიზის ელემენტებს, რაც კოლექტიური (ერთობლივი) აზრის ჩამოყალიბების საწინდარია. თვითშეფასების შემდგომ სწორედ ამ მონაცემებს უნდა დაეყრდნოს სკოლის სტრუქტურების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

სკოლაში შესაძლებელია, განხორციელდეს მრავალი ტიპის თვითშეფასება, მაგალითად:

1. ცალკეული მასწავლებლის თვითშეფასება;
2. კვლევა, რომელშიც რამდენიმე მასწავლებელია ჩართული და მოიცავს თვითშეფასებას აკადემიური წლის ან საგნის მიხედვით;
3. კათედრების საქმიანობების თვითშეფასება;
4. სკოლის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობების თვითშეფასება
5. და სხვ.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ტიპებისა, საჯარო სკოლაში ასევე შესაძლებელია, ჩატარდეს მასშტაბური თვითშეფასება, რომელიც მთელ სკოლას ეხება და მასში ყველა რგოლის წარმომადგენელია ჩართული. ასეთი ტიპის თვითშეფასება საჯარო სკოლის ადმინისტრაციას სკოლის შესახებ მრავალმხრივ წარმოდგენას უქმნის.

კრიტერიუმების განსაზღვრა სკოლის საქმიანობის შესაფასებლად

სკოლის მასშტაბური თვითშეფასების პროცესში, რომელიც მთელ სკოლას ეხება, ყველა რგოლის წარმომადგენელია ჩართული.

რაც უფრო სწორად განვსაზღვრავთ თვითშეფასების კრიტერიუმებს, მით უფრო ზუსტ სურათს მივიღებთ. ასეთმა თვითშეფასებამ საშუალება უნდა მოგვცეს, უმტკივნეულოდ ჩატარდეს კორექტირების პროცესი. თვითშეფასების კვლევა გამოკვეთს სასკოლო ცხოვრებაში შესატან აუცილებელ ცვლილებებს.

თვითშეფასების პროცესის სისტემატიზაციის მიზნით შეფასების კრიტერიუმები შესაძლებელია, ქვემოთ ჩამოთვლილი სქემით დალაგდეს (განისაზღვროს ქვემოთ ჩამოთვლილი პროცესების ხარისხი):

- სკოლის მენეჯმენტი (დირექცია, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედაგოგიური საბჭო — გუნდური მუშაობის სტილი, თანამონაწილეობითი მართვა, უფლებამოსილებათა დელეგირება, გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობა, თანამშრომელთა მონაწილეობა, ინფორმაციის გაცვლის მექანიზმები, სკოლის სტრუქტურული ერთეულების დოკუმენტაციები, ადმინისტრაციული წესები და პროცედურები, სკოლის შინაგანაწესი და სხვ.)
- დაგეგმარებისა და შეფასების პროცესები სკოლაში (სკოლის გეგმები, თანამონაწილეობა გეგმების შემუშავებისას, რესურსებთან დაკავშირებული საკითხები, შეფასების სისტემები და ა.შ.)
- ადამიანური რესურსები და პროფესიული განვითარება (უნარ-ჩვევები, პროფესიული განვითარების სტრატეგია, ტრენინგები, პროფესიული მხარდაჭერა, მოტივაცია)
- სწავლა-სწავლების პროცესი სკოლაში (მოსწავლეთა და მასწავლებელთა მიღწევები და წარმატებები)
- ურთიერთობა გარე რესურსებთან (თანამშრომლობა მშობლებთან, თემთან, ადგილობრივ თვითმმართველობებთან, დონორებთან და სხვ.)

ვინ ატარებს თვითშეფასებას?

სკოლის თვითშეფასება შეიძლება განხორციელდეს სპეციალურად მომზადებული და შესაბამისი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი ჯგუფის მიერ, რომელშიც შეიძლება გაერთიანდნენ:

- მშობლები
- მასწავლებლები
- მოსწავლეები

- საზოგადოების/ თემის წარმომადგენლები
- სკოლის საინფორმაციო მენეჯერი

როდის ტარდება თვითშეფასება?

როგორც აღვნიშნეთ, თვითშეფასება სკოლაში უწყვეტად, გარკვეული პერიოდულობით უნდა მიმდინარეობდეს. ზოგადად, არსებობს წინასწარი, ანუ დიაგნოსტიკური, შუალედური და საბოლოო, ანუ შემაჯამებელი თვითშეფასება. თვითშეფასების მიზნიდან გამომდინარე, შესაძლებელია, შევარჩიოთ თვითშეფასების მეთოდოლოგია და ინფორმაციის შეგროვების ტექნოლოგიები.

თვითშეფასების მეთოდოლოგია

მოსაპოვებელი ინფორმაციის ხასიათისა და მიღების საშუალებების მიხედვით შესაძლებელია, გამოყენებულ იქნას შემდეგი ძირითადი მეთოდები შეფასებისთვის ინფორმაციის შესაგროვებლად:

1. ანკეტური გამოკითხვა (ჯგუფური და ინდივიდუალური ანკეტირება წინასწარ შემუშავებული კითხვარის მეშვეობით; რესპოდენტი თავად ავსებს კითხვარს)
2. ფოკუს-ჯგუფში განხილვის მეთოდი
3. დაკვირვების მეთოდი
4. გამოკითხვა (ეს მეთოდი ჰგავს ანკეტირებას, რადგანაც მისი ინსტრუმენტიც ანკეტაა. განსხვავება ანკეტის შევსების პროცესშია — ინტერვიუერი ავსებს ანკეტას რესპონდენტთან პირისპირ ურთიერთობისას)
5. ინტერვიუ (სტრუქტურირებული, ნახევრადსტრუქტურირებული, სიღრმისეული; ინტერვიუ დიალოგის სახით)

თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილ მეთოდს თავისი უპირატესობები თუ ნაკლოვანებები აქვს. თვითშეფასების განხორციელებისას საინიციატივო ჯგუფმა თვითონ უნდა განსაზღვროს, თუ რომელ მეთოდს (მეთოდებს) აირჩევს. გთავაზობთ თითოეული მეთოდის მოკლე დახასიათებას:

1. ანკეტური გამოკითხვა

მას შემდეგ შემთხვევებში მიმართავენ:

- სამიზნე ჯგუფი მრავალრიცხოვანია (200 ადამიანზე მეტი);
- სამიზნე ჯგუფი გაფანტულია საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე;

- საჭიროა სხვადასხვა კატეგორიის მონაცემები და აუცილებელია სხვადასხვა ქვეჯგუფის პასუხების შესწავლა;
- შესაძლებელია სპეციალისტების მოწვევა, რომლებსაც შეუძლიათ ასეთი მონაცემების დამუშავება და ანალიზი.

2. ფოკუს-ჯგუფში განხილვის მეთოდი

ჯგუფის წევრთა ყურადღება ფოკუსირდება რაიმე კონკრეტული პრობლემის გარშემო მის მიმართ ფოკუს-ჯგუფის წევრთა დამოკიდებულების გამოვლენის მიზნით. ფოკუს-ჯგუფი იძლევა პრობლემის სხვადასხვა რაკურსიდან დანახვისა და რესპოდენტის მხრიდან „ფარული" ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას.

რა შემთხვევაში ტარდება ფოკუს-ჯგუფი?

- როცა აუცილებელია, მივიღოთ დაწვრილებითი ინფორმაცია ადამიანების მოთხოვნილებების, სხვადასხვა ჯგუფებისა და სექტორების ინტერესების შესახებ;
- როცა არსებობს ურთიერთქმედების ეფექტის გამოყენებისა და ფარული იდეებისა და პრობლემების გამოვლენის საჭიროება;
- როცა საჭიროა საქმიანობის გარკვეული ეტაპის შედეგების განზოგადება და შეფასება.

3. დაკვირვების მეთოდი

გამოიყენება სხვა მეთოდებთან ერთად იმ შემთხვევაში, როცა მკვლევარისთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვება სხვა საშუალების გამოყენებით შეუძლებელია. ის ტარდება წყვეტილად, დროის გარკვეულ შუალედებში. ამ მეთოდს შემდეგ შემთხვევებში მიმართავენ:

- როცა გარემო ზეგავლენას ახდენს შეფასებაზე;
- როცა შეფასების საკვანძო ფაქტორს წარმოადგენს ურთიერთობა ადამიანებს

შორის;

- გარკვეულ პრობლემებზე წინასწარი ინფორმაციის მისაღებად ანკეტის შემუშავების პროცესში.

4. გამოკითხვა

ესაა მონაცემების შეგროვების მეთოდი; ჰგავს ანკეტირებას, რადგანაც მისი ინსტრუმენტიც არის ანკეტა. განსხვავება ანკეტის შევსების პროცესშია — ინტერვიუერი ავსებს ანკეტას რესპონდენტთან პირისპირ ურთიერთობისას.

გამიკითხვის მეთოდს შემდეგ შემთხვევებში მიმართავენ:

- საჭიროა კონკრეტული საკითხის შესახებ იმ რესპოდენტების აზრის გარკვევა, რომელთა პოზიციაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია;
- სამიზნე ჯგუფი არ არის მრავალრიცხოვანი;

- მნიშვნელობა ენიჭება არა რესპონდენტების დიდ რაოდენობას, არამედ ინფორმაციის სიღრმეს;
- არსებობს საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ რესპოდენტები არ უპასუხებენ ანკეტის შეკითხვებს, თუ მას ფოსტით მიიღებენ.

5. ინტერვიუ

განასხვავებენ სტრუქტურირებულ, ნახევრადსტრუქტურირებულ, სიღრმისეულ ინტერვიუებს. ინტერვიუს დროს მიმდინარეობს უშუალო ურთიერთობა ინტერვიუერსა და რესპონდენტს შორის. გამოკითხვის მეთოდისგან ინტერვიუ შემდეგი მახასიათებლებით განსხვავდება:

- ნაკლებად სტრუქტურირებული მეთოდია;
- მოიცავს რესპონდენტების ნაკლებ რაოდენობას;
- ნაკლებად შრომატევადია დაგეგმვის მხრივ;
- უფრო შრომატევადია ხარისხობრივი ინფორმაციის დამუშავების მხრივ.

სკოლის მოსარგებლეთა ანკეტირება სკოლის თვითშეფასების მიზნით

ჩვენი რეკომენდაციით, სკოლაში პირველადი თვითშეფასებისას შესაძლებელია, გამოყენებულ იქნას სკოლის მოსარგებლეთა ანკეტირების მეთოდი (შემუშავებული ანკეტების ნიმუშები იხ. დანართში).

ანკეტების საშუალებით განხორციელებული თვითშეფასების პროცესი შემდეგ ძირითად საფეხურებს მოიცავს:

- ანკეტების გამრავლება
- ანკეტირება (გამოკითხვა)
- ანკეტირების მონაცემების შეტანა კომპიუტერში
- ანკეტირების შედეგების ანალიზი და დასკვნების მომზადება

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გამოსაკითხი პირების რელევანტურ შერჩევას. სიტყვა „რელევანტური“ შესაბამისს ნიშნავს და შერჩევისას შემდეგი საკითხები უნდა გავითვალისწინოთ:

- მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების დონე (ანუ შევარჩიოთ როგორც კარგი, ასევე ცუდი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები)
- დისციპლინის დონე
- მოსწავლეთა სქესი

მშობლების შერჩევისას სასურველია, გავითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული მახასიათებლები:

- აქტიური / პასიური მშობლები

- შვილის აკადემიური მოსწრების დონე
- შვილის დისციპლინის დონე

ასევე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გამოსაკითხთა რაოდენობრივ შერჩევას. ჩვენი რეკომენდაციით, სასურველია, ამ დროს გათვალისწინებულ იქნას ქვემოთ მოცემული პროცენტული პროპორციები:

- მე-7 — მე-11 კლასების (ჩათვლით) მოსწავლეთა რაოდენობის მინიმუმ 15 %;
- გამოიკითხება მშობელთა საერთო რაოდენობის 15 % (დაწყებითი საფეხურის ჩათვლით);
- გამოიკითხება მასწავლებლების 50-დან 100%-მდე.

თუ სკოლა მცირეკონტინგენტიანია, შესაძლებელია, გამოსაკითხ მოსწავლეთა და მშობელთა რაოდენობა 20-30%-მდე გაიზარდოს.

გთავაზობთ, გამოსაკითხი კონტინგენტის შერჩევისთვის გამოიყენოთ ჩვენ მიერ Excel-ში მომზადებული ცხრილი. მისი გადმოწერა შესაძლებელია ჩვენი ორგანიზაციის ვებგვერდიდან. რელევანტური შერჩევისათვის აღნიშნულ ცხრილში მხოლოდ პირველადი მონაცემების (მოსწავლეთა რაოდენობა კლასების მიხედვით, სკოლაში მოსწავლეთა



	A	B	C	D	E	F
1		რაოდ	%		მოსწავლეები	მშობლები
2	მოსწავლეების რაოდენობა სულ	211	100		23	53
3						
4	გოგონა	92	43,60		10	
5	ბიჭი	119	56,40		13	
6						
7	**მოსწავლეების რაოდენობა VI-XI კლასებში**	110	52,1			
8						
9	მოსწავლეების რაოდენობა კლასების მიხედვით					
10	I	16	7,6			4
11	II	13	6,2			3
12	III	16	7,6			4
13	IV	20	9,5			5
14	V	14	6,6	%		4
15	VI	19	9,0	18,27	4	5
16	VII	14	6,6	12,73	3	4
17	VIII	17	8,1	15,45	4	4
18	IX	13	6,2	11,82	3	3
19	X	12	5,7	10,91	2	3
20	XI	35	16,6	31,82	7	9
21	XII	22	10,4			6
22	მოსწავლეთა რაოდენობა აკადემიური მოსწრების მიხედვით VI-XI კლასები					
23	**მაღალი დონის მოსწრება - 8-10-მდე ქულამდე**	34	30,9		7	16
24	**საშუალო დონის მოსწრება - 6-7-მდე**	56	50,9		12	27
25	**დამაკმაყოფილებელი დონის - მოსწრება 4-5-მდე**	81	73,6		17	39
26	**სუსტი დონის მოსწრება 1-3-მდე**	40	36,4		8	19
27	**შეუფასებელი**	0	0,0		0	0
28						
30	გამოსაკითხი პროცენტი	25				

გენდერული ბალანსი, მონაცემები მოსწრების შესახებ და გამოსაკითხი რესპოდენტების სასურველი პროცენტი) შეტანის შემდეგ ცხრილი, შეტანილი მონაცემების პროპორციების გათვალისწინებით, შემოგვთავაზებს გამოსაკითხი რესპოდენტების რაოდენობას.

გამოკითხვის ორგანიზება და ანკეტირება

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი ჯგუფის მიერ შემუშავებულია 3 ტიპის ანკეტა:

- მშობელთათვის
- მოსწავლეთათვის
- მასწავლებელთათვის

აღნიშნულ ანკეტებს სარეკომენდაციო ხასიათი აქვს და საშუალებას იძლევა, განხორციელდეს სკოლის პირველადი თვითშეფასება შერჩეული კრიტერიუმების მიხედვით.

მოსწავლეების ანკეტირებისთვის აუცილებელია შემდეგი საფეხურების გავლა:

- რელევანტური წესით შერჩეულ მოსწავლეებს ვთხოვთ, გაკვეთილების შემდეგ 1 საათი დაუთმონ კითხვარის შევსებას;
- შეგვყავს ისინი თავისუფალ საკლასო ოთახში, ვურიგებთ ანკეტებს და ვაძლევთ მოკლე ინსტრუქტაჟს.

მშობლების შემთხვევაში ანკეტირების პროცესს მხოლოდ ე. წ. „ლიდერი მშობლები“ ატარებენ. ისინი, საჭიროების შემთხვევაში, აძლევენ განმარტებებს კითხვებთან დაკავშირებით. მშობლების გამოკითხვისას აღსანიშნავია შემდეგი საფეხურები:

- ორგანიზებას ვუკეთებთ შერჩეული მშობლების სკოლაში მოწვევას და ვთხოვთ მათ, 1 საათი გამოყონ ანკეტების შესავსებად;
- შეგვყავს ისინი თავისუფალ საკლასო ოთახში, ვურიგებთ ანკეტებს და ვაძლევთ მათ მოკლე ინსტრუქტაჟს;
- სავარაუდოდ, ყველა შერჩეული მშობელი ვერ მოვა ანკეტირების მიზნით გამართულ შეხვედრაზე, შესაბამისად, ანკეტირების მაკოორდინირებელი ჯგუფის წევრებს მოუწევთ გასვლა და ასეთი მშობლების გამოკითხვა ადგილზე.

ანკეტირების მაკოორდინირებელი ჯგუფის წევრებს შეუძლიათ, დაურიგონ ანკეტები მასწავლებლებს, რომლებიც თავისუფალ დროს შეავსებენ მათ. აუცილებელია, მასწავლებლებმა იცოდნენ, თუ ვის მიმართონ იმ შემთხვევაში, თუ ანკეტის შევსებისას საჭირო გახდება კითხვის განმარტება.

კითხვარის დახარისხება და შედეგების დათვლა

გამოკითხვის ჩატარების შემდეგ ანალიზისათვის აუცილებელია ანკეტების დახარისხება და შედეგების დათვლა. შევსებული ანკეტები ჩაბარდება სკოლის საინფორმაციო მენეჯერს.

საინფორმაციო მენეჯერებს ვთავაზობთ ჩვენ მიერ მომზადებული შედეგების დათვლის ელექტრონულ ცხრილს. იგი მომზადებულია

Excel-ში და მისი გადმოწერა შესაძლებელია ჩვენი ორგანიზაციის ვებგვერდიდან. აქვეა განთავსებული ცხრილში ანკეტების შეტანის ინსტრუქცია შედეგების დათვლისთვის.



მონაცემების ანალიზი და თვითშეფასების ანგარიშის მომზადება

ცხრილში მონაცემების შეტანის შემდეგ საინფორმაციო მენეჯერი ამობეჭდავს ანალიზურ ანგარიშს, რომელიც ავტომატურად გენერირდება. ანგარიში წარმოადგენს თვითშეფასების პირველად ანალიზს, რომელიც სკოლაში თვითშეფასების ჩამტარებელი ჯგუფის წევრების მიერ უნდა იქნას გადამუშავებული. რაც უფრო სრულყოფილი იქნება ანალიზი, მით უფრო გაიოლდება შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

თვითშეფასების ანგარიშის მომზადებით და მისი სკოლის ბენეფიციართათვის გაცნობით სრულდება სკოლის განახლების პროცესის ციკლის ერთ-ერთი საფეხური. თვითშეფასების ანგარიშის სახით სკოლას უკვე აქვს პირველადი „დიაგნოზი“, რაც გვაძლევს სასკოლო ცხოვრებაში დროული და საჭირო ცვლილებების შეტანის საშუალებას.

თავდაპირველი თვითშეფასების შემდეგ აუცილებელია, დაიწყოს მზადება სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმის შესამუშავებლად.

ანკეტა მასწავლებელთათვის
სკოლის ზოგადი შეფასების მიზნით

ანკეტის №———

ქ. ——————————————— საჯარო სკოლა ატარებს სკოლის მომხმარებელთა გამოკითხვას სკოლის ზოგადი თვითშეფასების მიზნით; შესაბამისად, *თითოეული თქვენგანის აზრი მნიშვნელოვანია ჩვენი სკოლის საქმიანობის კიდევ უფრო დასახვეწად. წინასწარ გიხდით მადლობას, განეული დახმარებისათვის!*

1. იცნობთ თუ არა სკოლის შინაგანაწესის დოკუმენტს?

დიახ	1
ნაწილობრივ	2
არა	3
სხვა (ჩაწერეთ).	

2. იმ შემთხვევაში, თუ იცნობთ შინაგანაწესს, როგორ შეაფასებდით მას?

სკოლის შინაგანაწესი სავსებით დამაკმაყოფილებელია, ვეთანხმები მის ყველა პუნქტს.	1
სკოლის შინაგანაწესი საჭიროებს გადახედვასა და დახვეწას.	2
არ ვეთანხმები სკოლის შინაგანაწესის ბევრ პუნქტს.	3
სკოლის შინაგანაწესი მთლიანად შესაცვლელია.	4
სხვა (ჩაწერეთ)	

3. სკოლის მისია და მიზნები ასახულია შინაგანაწესში; მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები კარგად იცნობენ მათ.

დიახ	1
არა	2
სხვა (ჩაწერეთ).....	

4. თქვენი აზრით, ექცევა თუ არა სათანადო ყურადღება თქვენს სკოლაში დისციპლინის დარღვევის ფაქტებს?

დიახ	1
არა	2
სხვა (ჩაწერეთ).....	

5. იცით თუ არამოსწავლისათვის შეუფერებელი ქცევის შემთხვევაში (მოსწავლის მიერ ქცევის კოდექსის, სკოლის ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დარღვევისა და სკოლის თანამშრომლებისთვის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში) რა სახის დისციპლინური ზომებისა და სახდელების დაწესების უფლება აქვს სკოლას მოსწავლის მიმართ?

დიახ	1
ნაწილობრივ	2
არა	3
სხვა (ჩაწერეთ).	

6. ვის მიმართავთ სკოლის მოსწავლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში?

(შეგიძლიათ აირჩიოთ ერთი ან რამდენიმე თქვენთვის* ყველაზე მისაღები *პასუხი)

სამეურვეო საბჭო	1
დისციპლინური კომიტეტი	2
სკოლის ადმინისტრაცია	3
კლასის დამრიგებელი	4
მოსწავლის მშობელი	5
სხვა (ჩაწერეთ).....	

7. სკოლის მოსარგებლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში შესაბამისი კომპეტენტური ორგანო:

კანონისა და შინაგანაწესის შესაბამისად, რეაგირებს ნებისმიერი სახის გადაცდომაზე;	1
რეაგირებს მხოლოდ შერჩევით (მძიმე სახის გადაცდომებზე);	2
არანაირად არ რეაგირებს;	3
სხვა (ჩაწერეთ).....	

8. სკოლის მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები კარგად იცნობენ სამეურვეო საბჭოს წევრებს; ხშირად მიმართავენ მათ რეკომენდაციებითა და თხოვნით.

დიახ	1
არა	2
სხვა (ჩაწერეთ).....	

9. სკოლის წარმომადგენლებისათვის წინასწარ ცნობილია სამეურვეო საბჭოს სხდომების ჩატარების თარიღი და დღის განრიგი.

დიახ	1
არა	2

10. ქვემოთ ჩამოთვლილ რომელ მოსაზრებას იზიარებთ?

სამეურვეო საბჭოს სხდომები ტარდება წესებისა და რეგლამენტის დაცვით.	1
სამეურვეო საბჭოს სხდომებს ფორმალურ ხასიათი აქვს.	2
არ მაქვს ინფორმაცია სამეურვეო საბჭოს სხდომების შესახებ.	3
სამეურვეო საბჭოს სხდომები საერთოდ არ ტარდება.	4
სხვა (ჩაწერეთ).....	

11. მონაწილეობენ თუ არა მასწავლებლები სკოლისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების პროცესში?
(შეგიძლიათ აირჩიოთ ერთი ან რამდენიმე თქვენთვის ყველაზე მისაღები პასუხი)

რეგულარულად ვესწრებით სამეურვეო საბჭოს სხდომებს.	1
ვესწრებით დირექტორის მიერ სამეურვეო საბჭოსთვის ანგარიშის წარდგენას.	2
მონაწილეობას ვღებულობდით სკოლის შინაგანაწესის შედგენაში.	3
ჩართული ვართ სკოლის სტრატეგიული გეგმის შედგენის პროცესში.	4
ვესწრებით სკოლის ბიუჯეტის დაგეგმვის შეხვედრებს.	5
ვმონაწილეობთ სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებაში.	6
აქტიურად ვართ ჩართული სკოლის სამუშაო გეგმის შემუშავების პროცესში.	9
სკოლის გადაწყეეტილების მიღების პროცესში საერთოდ არ ვმონაწილეობთ.	10
სხვა (ჩაწერეთ).....	

12. როგორია სკოლის ადმინისტრაციისა და სამეურვეო საბჭოს დამოკიდებულება წამოყენებული ინიციატივების მიმართ?

სკოლის ადმინისტრაცია და სამეურვეო საბჭო ყოველთვის განიხილავს და ითვალისწინებს მშობლების, პედსაბჭოსა და მოსწავლეთა თვითმმართველობის რეკომენდაციებსა და ინიციატივებს.	1
სკოლის ადმინისტრაცია და სამეურვეო საბჭო ხშირად განიხილავს და ითვალისწინებს მშობლების, პედსაბჭოსა და მოსწავლეთა თვითმმართველობის რეკომენდაციებსა და ინიციატივებს.	2

სკოლის ადმინისტრაცია და სამეურვეო საბჭო ზოგჯერ განიხილავს და ითვალისწინებს მშობლების, პედსაბჭოსა და მოსწავლეთა თვითმ-მართველობის რეკომენდაციებსა და ინიციატივებს.	3
სკოლის ადმინისტრაცია და სამეურვეო საბჭო იგნორირებას უკეთებს მშობლების, პედსაბჭოსა და მოსწავლეთა თვითმმართველობის რეკომენდაციებსა და ინიციატივებს.	4
სხვა (ჩაწერეთ).....	

13. თქვენი აზრით, ექცევა თუ არა ყურადღება სკოლაში მოსწავლეთა უსაფრთხოებას?

დიახ	1
ნაწილობრივ	2
არა	3
სხვა (ჩაწერეთ).	

14. თქვენი აზრით, ექცევა თუ არა ყურადღება სკოლაში გარემოს სანიტარიულ-ჰიგიენურ მდგომარეობას?

სკოლაში მონესრიგებულია სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა.	1
სკოლაში დამაკმაყოფილებელი სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობაა.	2
სკოლაში ცუდი სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობაა.	3
სხვა (ჩაწერეთ).....	

15. ქვემოთ ჩამოთვლილ რომელ მოსაზრებებს იზიარებთ?

სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა ობიექტურია და შეესაბამება ცოდნის ხარისხს.	1
სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა არც ისე ობიექტურია.	2
სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა არ არის ობიექტური.	3
სხვა (ჩაწერეთ).....	

16. რა სიხშირით ახდენთ მოსწავლის განმავითარებელ შეფასებას?

კვირაში ერთხელ	1
თვეში ერთხელ	2
ტრიმესტრში ერთხელ	3
საერთოდ არ ვიყენებ.	4
სხვა (ჩაწერეთ).....	

17. თანამშრომლობენ თუ არა პედაგოგები და მოსწავლეები სწავლის პროცესის მხარდასაჭერად?

(შეგიძლიათ აირჩიოთ ერთი ან რამდენიმე თქვენთვის* ყველაზე მისაღები პასუხი*)

სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები თანამშრომლობენ გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში.	1
პედაგოგები და მოსწავლეები ერთად გეგმავენ კლასგარეშე ღონისძიებებს ამა თუ იმ საგნისთვის.	2
დამრიგებელი და მოსწავლეები თანამშრომლობენ კლასის სადამრიგებლო პროგრამის შექმნის პროცესში.	3
პედაგოგები და მოსწავლეები ერთობლივად შეიმუშავებენ პროექტებს.	4
არ თანამშრომლობენ.	5
სხვა (ჩაწერეთ).....	

18. თქვენი აზრით, რას ეთმობა ძირითადი დრო გაკვეთილზე?

მასწავლებლის საუბრის მოსმენას	1
მსჯელობას, დისკუსიას	2
მცირე ჯგუფებში მუშაობას	3
კითხვას	4
წიგნში მოცემულ შეკითხვებზე პასუხების გაცემას ან სავარჯიშოების შესრულებას	5
კვლევას	6
კომპიუტერის გამოყენებას	7
იმაზე მუშაობას, რასაც მნიშვნელოვნად მივიჩნევთ	8
სხვა (ჩაწერეთ).....	

19. სკოლაში დანერგილია სკოლის მუშაობის შეფასების სისტემა. შეფასება ტარდება არა მარტო სკოლის ადმინისტრაციის მიერ, არამედ სკოლის მომხმარებელთა (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი) ინიციატივით და მათი მონაწილეობით?

დიახ	1
არა	2

ამ კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში უპასუხეთ შემდეგ 2 კითხვას.

20. რა სიხშირით ხორციელდება სკოლის მუშაობის შეფასება?

ტრიმესტრში ერთხელ	1
წელიწადში ორჯერ	2
სხვა (ჩაწერეთ).....	

21. ითვალისწინებს თუ არა სკოლის მმართველობა შეფასების შედეგებს და მასზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებებს?

დიახ	1
არა	2

22. არის თუ არა სკოლაში დანერგილი მასწავლებელთა პორტფოლიოს წარმოება?

დიახ	1
არა	2

23. სემესტრში რამდენი გაკვეთილის მოდელის შექმნა არის სავალდებულო მასწავლებლისათვის?

3 გაკვეთილის მოდელი	1
5 გაკვეთილის მოდელი	2
სხვა (ჩაწერეთ).....	

24. სემესტრში რამდენჯერ ტარდება კათედრის სხდომა?

ჩაწერეთ	

25. სწავლა/სწავლების რომელი საკითხის გადაჭრაში გაგიწიათ ქმედითი დახმარება საგნობრივმა კათედრამ?

(ესაძლებელია შემოხაზოთ რამდენიმე პასუხი)

სწავლების ახალი მეთოდების გაცნობა	1
ახალი მეთოდების დანერგვა საგაკვეთილო პროცესში	2
მოსწავლეთა შეფასების სისტემის დანერგვა	3
სიახლეების გაცნობა საგანში	4
კლასგარეშე მუშაობა საგანში	5
სხვა (ჩაწერეთ).....	

26. ქვემოთ ჩამოთვლილი აქტივობებიდან შემოხაზეთ ერთი ან რამდენიმე, რომელსაც ახორციელებს კათედრა, რომლის წევრიც თქვენ ბრძანდებით.

კათედრის ყველა წევრი მონაწილეობს კათედრის სამუშაო გეგმის შემუშავებაში.	1
კათედრის ყველა წევრი მონაწილეობს მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის შემუშავებაში.	2
კათედრა ახორციელებს შესაბამის საგანში ან საგნობრივ ჯგუფში ეროვნული სასწავლო გეგმის შესრულების მონიტორინგს.	3
კათედრის გამგე აფასებს კათედრის წევრების მუშაობას.	4
კათედრის წევრები ახორციელებენ თვითშეფასებას.	5

კათედრის წევრები თანამშრომლობენ სხვა კათედრებთან.	6
კათედრა შეიმუშავებს რეკომენდაციებს საგნის სწავლებაში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით და აწვდის პედსაბჭოს, სკოლის დირექციას, სამეურვეო საბჭოს.	7
კათედრა იყენებს საკუთარ ადამიანურ რესურსებს შიდასასკოლო ტრენინგებისა და საინფორმაციო სემინარების ჩასატარებლად.	8
კათედრამ შეიმუშავა მასწავლებლის შეფასების კრიტერიუმები და მიაწოდა პედსაბჭოს, დირექციასა და სამეურვეო საბჭოს.	9
სხვა (ჩაწერეთ).....	

27. მასწავლებლების მიერ გაკვეთილების დაგეგმვის პროცესი სისტემატურია და თითოეული გაკვეთილის მიზანი შეესაბამება სწავლების გრძელვადიან მიზნებსა და ამოცანებს.

დიახ	1
არა	2
სხვა (ჩაწერეთ).....	

28. სკოლაში დადგენილია და მოქმედებს კადრების მართვის თითქმის ყველა აუცილებელი კომპონენტი (სამუშაოს აღწერა, სამუშაოზე აყვანისა და სამუშაოდან დათხოვნის წესები, შეფასებისა და წახალისების სისტემა და ა.შ.).

დიახ	1
არა	2
სხვა (ჩაწერეთ).....	

29. როგორ ფიქრობთ არიან თუ არა მშობლები ჩართულები სკოლისათვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებების მიღებასა და განხორციელების პროცესში?

ბევრი ან ყველა მშობელი მონაწილეობს	1
ზოგიერთი მშობელი მონაწილეობს	2
ძალიან ცოტა ან არც ერთი მშობელი არ მონაწილეობს.	3
სხვა (ჩაწერეთ).....	

30. როგორ შეაფასებდით თქვენს სკოლას?

კარგი სკოლა	1
საშუალო დონის სკოლა	2
საშუალოზე დაბალი დონის სკოლა	3
სხვა (ჩაწერეთ).....	

31. რას შეცვლიდით სკოლაში?

დემოგრაფიული მონაცემები

1. თქვენი სქესი:

მდედრობითი	1
მამრობითი	2

3. ხართ თუ არა სამეურვეო საბჭოს წევრი?

დიახ	1
არა	2

2. ასაკი:

21-დან 30 წლამდე	1
31-დან 40 წლამდე	2
41-დან 50 წლამდე	3
51-დან 60 წლამდე	4
60 წელს ზემოთ	5

ანკეტა მოსწავლეთათვის
სკოლის ზოგადი შეფასების მიზნით

ანკეტის №_____

ქ. _____ საჯარო სკოლა ატარებს სკოლის მომხმარებელთა გამოკითხვას სკოლის ზოგადი თვითშეფასების მიზნით; შესაბამისად, *თითოეული თქვენგანის აზრი მნიშვნელოვანია ჩვენი სკოლის საქმიანობის კიდევ უფრო დასახვეწად. წინასწარ გიხდით მადლობას, გაწეული დახმარებისათვის!*

1. იცნობთ თუ არა სკოლის შინაგანაწესის დოკუმენტს?

დიახ	1
ნაწილობრივ	2
არა	3
სხვა (ჩაწერეთ).....	

2. იმ შემთხვევაში, თუ იცნობთ შინაგანაწესს, როგორ შეაფასებდით მას?

სკოლის შინაგანაწესი სავსებით დამაკმაყოფილებელია, ვეთანხმები მის ყველა პუნქტს.	1
სკოლის შინაგანაწესი საჭიროებს გადახედვასა და დახვეწას.	2
არ ვეთანხმები სკოლის შინაგანაწესის ბევრ პუნქტს.	3
სკოლის შინაგანაწესი მთლიანად შესაცვლელია.	4
სხვა (ჩაწერეთ).....	

3. თქვენი აზრით, ექცევა თუ არა სათანადო ყურადღება თქვენს სკოლაში დისციპლინის დარღვევის ფაქტებს?

დიახ	1
არა	2
სხვა (ჩაწერეთ).....	

4. იცით თუ არამოსწავლისათვის შეუფერებელი ქცევის შემთხვევაში (მოსწავლის მიერ ქცევის კოდექსის, სკოლის ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დარღვევისა და სკოლის თანამშრომლებისთვის დაუმორჩილებლობის შემ-

თხვევაში) რა სახის დისციპლინური ზომებისა და სახდელების დაწესების უფლება აქვს სკოლას მოსწავლის მიმართ?

დიახ	1
ნაწილობრივ	2
არა	3
სხვა (ჩაწერეთ).....	

5. იცნობთ თუ არა სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრებს?

ვიცნობ ყველა მათგანს.	1
ვიცნობ ზოგიერთ წევრს.	2
არ ვიცნობ არც ერთ წევრს.	3

6. იცით თუ არა რა დამატებით მომსახურებას სთავაზობს სკოლა მოსწავლეებს?

დიახ	1
არა	2
სხვა (ჩაწერეთ).....	

7. თქვენი აზრით, ექცევა თუ არა ყურადღება თქვენს სკოლაში მოსწავლეთა ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას?

დიახ	1
ნაწილობრივ	2
არა	3
სხვა (ჩაწერეთ).....	

8. მონაწილეობდით თუ არა სკოლისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების პროცესში?

(შეგიძლიათ აირჩიოთ ერთი ან რამდენიმე თქვენთვის* ყველაზე მისაღები პასუხი*)

რეგულარულად ვესწრები სამეურვეო საბჭოს სხდომებს.	1
ვესწრებოდი დირექტორის მიერ სამეურვეო საბჭოსთვის ანგარიშის წარდგენას.	2
მონაწილეობას ვღებულობდი სკოლის შინაგანაწესის შედგენაში.	3
ჩართული ვიყავი სკოლის სტრატეგიული გეგმის შედგენის პროცესში.	4
ვესწრები სკოლის ბიუჯეტის დაგეგმვის შეხვედრებს.	5
ვმონაწილეობ სხვადასხვა სასკოლო ღონისძიების დაგეგმვაში.	6
რეგულარულად ვესწრები მოსწავლეთა თვითმმართველობების სხდომებს.	7
კლასგარეშე ღონისძიებები იგეგმება ჩვენი სურვილების გათვალისწინებით.	8

სკოლის სამუშაო გეგმის შემუშავებაში აქტიურად ვართ ჩართული მოსწავლეები.	9
სკოლის გადაწყეეტილების მიღების პროცესში საერთოდ არ ვმონაწილეობ.	10
სხვა (ჩაწერეთ).....	

9. როგორ ფიქრობთ, არიან თუ არა ჩართული სხვა მოსწავლეები სკოლისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების პროცესში?

ბევრი ან ყველა მოსწავლე მონაწილეობს.	1
ზოგიერთი მოსწავლე მონაწილეობს.	2
ძალიან ცოტა ან არც ერთი მოსწავლე არ მონაწილეობს.	3
სხვა (ჩაწერეთ).....	

10. როდესაც თქვენ ან სხვა მოსწავლე იჩენთ ინიციატივას სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის მიზნით, როგორია სკოლის ადმინისტრაციისა და სამეურვეო საბჭოს დამოკიდებულება თქვენ მიმართ?

სკოლის ადმინისტრაცია და სამეურვეო საბჭო ყოველთვის განიხილავს და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინიციატივებს.	1
სკოლის ადმინისტრაცია და სამეურვეო საბჭო ხშირად განიხილავს და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინიციატივებს.	2
სკოლის ადმინისტრაცია და სამეურვეო საბჭო ზოგჯერ განიხილავს და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინიციატივებს.	3
სკოლის ადმინისტრაცია და სამეურვეო საბჭო იგნორირებას უკეთებენ მოსწავლეთა ინიციატივებს.	4
სხვა (ჩაწერეთ).....	

11. როდესაც თქვენ ან სხვა მოსწავლე იჩენთ ინიციატივას საგაკვეთილო პროცესის გამრავალფეროვნების მიზნით, როგორია სკოლის პედაგოგთა დამოკიდებულება ინიციატივის მიმართ? ქვემოთ ჩამოთვლილ რომელ მოსაზრებას ეთანხმებით?

სკოლის ყველა პედაგოგი განიხილავს და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინიციატივებს.	1
სკოლის პედაგოგთა უმეტესობა განიხილავს და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინიციატივებს.	2
სკოლის პედაგოგთა მცირე ნაწილი განიხილავს და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინიციატივებს.	3
მხოლოდ რამდენიმე პედაგოგი განიხილავს და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინიციატივებს.	4
სკოლის პედაგოგები იგნორირებას უკეთებენ მოსწავლეთა ინიციატივებს.	5
სხვა (ჩაწერეთ).....	

12. თქვენი აზრით, ექცევა თუ არა ყურადღება სკოლაში მოსწავლეთა უსაფრთხოებას?

დიახ	1
ნაწილობრივ	2
არა	3
სხვა (ჩაწერეთ).....	

13. თქვენი აზრით, ექცევა თუ არა ყურადღება სკოლაში გარემოს სანიტარიულ-ჰიგიენურ მდგომარეობას?

სკოლაში მოწესრიგებულია სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა.	1
სკოლაში დამაკმაყოფილებელი სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობაა.	2
სკოლაში ცუდი სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობაა.	3
სხვა (ჩაწერეთ).....	

14. იცნობთ თუ არა მოსწავლეთა შეფასების სისტემას?

დიახ	1
არა	2

15. თქვენი აზრით, რამდენად შეესაბამება თქვენი შეფასება მიღებული ცოდნის ხარისხს?

შეესაბამება.	1
არ შეესაბამება.	2
სხვა (ჩაწერეთ).....	

16. ქვემოთ ჩამოთვლილ რომელ მოსაზრებას იზიარებთ?

სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა ობიექტურია და შეესაბამება ცოდნის ხარისხს.	1
სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა არც ისე ობიექტურია.	2
სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა არ არის ობიექტური.	3
სხვა (ჩაწერეთ).....	

17. გჭირდებათ თუ არა დამატებითი მეცადინეობა რეპეტიტორთან?

1-2 საგანში	1
3-4 საგანში	2
არც ერთ საგანში	3
სხვა (ჩაწერეთ).....	

18. თანამშრომლობენ თუ არა პედაგოგები და მოსწავლეები სწავლის პროცესის მხარდასაჭერად?

(შეგიძლიათ აირჩიოთ ერთი ან რამდენიმე თქვენთვის* ყველაზე მისაღები პასუხი*)

სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები თანამშრომლობენ გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში.	1
პედაგოგები და მოსწავლეები ერთად გეგმავენ კლასგარეშე ღონისძიებებს ამა თუ იმ საგნისთვის.	2
დამრიგებელი და მოსწავლეები თანამშრომლობენ კლასის სადამრიგებლო პროგრამის შექმნის პროცესში.	3
პედაგოგები და მოსწავლეები ერთობლივად შეიმუშავებენ პროექტებს.	4
არ თანამშრომლობენ.	5
სხვა (ჩაწერეთ).....	

19. თქვენი აზრით, გაკვეთილზე რას ეთმობა ძირითადი დრო?

მასწავლებლის საუბრის მოსმენას	1
მსჯელობას, დისკუსიას	2
მცირე ჯგუფებში მუშაობას	3
კითხვას	4
წიგნში მოცემულ შეკითხვებზე პასუხების გაცემას ან სავარჯიშოების შესრულებას	5
კვლევას	6
კომპიუტერის გამოყენებას	7
იმაზე მუშაობას, რასაც მნიშვნელოვნად მივიჩნევთ	8
სხვა (ჩაწერეთ).....	

20. ქვემოთ ჩამოთვლილ რომელ მოსაზრებას ეთანხმებით?
(აირჩიეთ 3 ყველაზე მისაღები პასუხი)

ამ სკოლაში სწავლა საინტერესო და სახალისოა.	1
სკოლის მოსწავლეებს საშუალება აქვთ, ერთმანეთისგან ბევრი რამ ისწავლონ.	2
მასწავლებლები სასწავლო პროცესში, გარდა აუცილებელი პროგრამული მასალისა, იყენებენ დამატებით მასალებს.	3
მასწავლებლები სწავლების პროცესს სახალისოდ წარმართავენ.	4
საჭიროების შემთხვევაში ჩემთან ინდივიდუალურად მუშაობენ.	5
სკოლა კარგად მამზადებს იმისთვის, რაც მინდა გავაკეთო სკოლის დამთავრების შემდეგ.	6
სხვა (ჩაწერეთ).....	

21. როგორ შეაფასებდით თქვენს სკოლას?

კარგი სკოლა	1
საშუალო დონის სკოლა	2
საშუალოზე დაბალი დონის სკოლა	3
სხვა (ჩაწერეთ).....	

22. რას შეცვლიდით სკოლაში?

დემოგრაფიული მონაცემები

1. თქვენი სქესი:

მდედრობითი	1
მამრობითი	2

3. ხართ თუ არა მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრი?

დიახ	1
არა	2

4. რომელ კლასში სწავლობთ:

დაწყებითი	1
V	2
VI	3
VII	4
VIII	5
IX	6
X	7
XI	8
XII	9

5. როგორია თქვენი აკადემიური მოსწრება:

ვარ წარჩინებული მოსწავლე.	1
კარგად ვსწავლობ.	2
საშუალოდ ვსწავლობ.	3
დამაკმაყოფილებლად ვსწავლობ.	4
არადამაკმაყოფილებლად ვსწავლობ.	5

ანკეტა მშობლებისათვის
სკოლის ზოგადი შეფასებისათვის

ანკეტის №_____ **ინტერვიუერი №**_____

ქ. _____ საჯარო სკოლა ატარებს სკოლის მომხმარებელთა გამოკითხვას სკოლის ზოგადი თვითშეფასების მიზნით; შესაბამისად, *თითოეული თქვენგანის აზრი მნიშვნელოვანია ჩვენი სკოლის საქმიანობის კიდევ უფრო დასახვეწად. წინასწარ გიხდით მადლობას, გაწეული დახმარებისათვის!*

1. საშუალოდ თვეში რამდენჯერ მიდიხართ სკოლაში საკუთარი შვილის სწავლის (წარმატების/წარუმატებლობის) საკითხების გასაგებად?

თვეში ერთხელ	1
თვეში 2-ჯერ	2
თვეში 3-ჯერ	3
თვეში 3-ზე მეტჯერ	4
საერთოდ არ მივდივარ.	5
სხვა (ჩაწერეთ).....	

2. გაწვდიან თუ არა კლასის დამრიგებელი და საგნის მასწავლებლები საჭირო ინფორმაციას თქვენი შვილის წარმატების/წარუმატებლობის შესახებ?

რეგულარულად	1
ხშირად	2
არც ისე ხშირად	3
იშვიათად	4
არ გვაწვდიან	5
სხვა (ჩაწერეთ).....	

3. ქვემოთ ჩამოთვლილ რომელ მოსაზრებებს იზიარებთ?
(შეგიძლიათ აირჩიოთ არაუმეტეს 2 პასუხისა)

თქვენი შვილის კლასის დამრიგებელი ატარებს საკლასო კრებებს კლასში არსებულ პრობლემებზე და ავლენს ინიციატივას თქვენი ჩართულობის გააქტიურების მიზნით.	1
კლასის დამრიგებელი რეგულარულად გიკავშირდებათ და გიწევთ კონსულტაციას.	2
საკლასო კრებები რეგულარულად ტარდება, მაგრამ ფორმალური ხასიათი აქვს.	3
კლასის დამრიგებელი იშვიათად ატარებს საკლასო კრებებს.	4
კრებები საერთოდ არ ტარდება.	5
სხვა (ჩაწერეთ).....	

4. იცნობთ თუ არა სკოლის შინაგანაწესის დოკუმენტს?

დიახ	1
ნაწილობრივ	2
არა	3
სხვა (ჩაწერეთ).....	

5. იმ შემთხვევაში, თუ იცნობთ შინაგანაწესს, როგორ შეაფასებდით მას?

სკოლის შინაგანაწესი სავსებით დამაკმაყოფილებელია; ვეთანხმები მის ყველა პუნქტს.	1
სკოლის შინაგანაწესი საჭიროებს გადახედვასა და დახვეწას.	2
არ ვეთანხმები სკოლის შინაგანაწესის ბევრ პუნქტს.	3
სკოლის შინაგანაწესი მთლიანად შესაცვლელია.	4
სხვა (ჩაწერეთ).....	

6. თქვენი აზრით, ექცევა თუ არა სათანადო ყურადღება თქვენი შვილის სკოლაში დისციპლინის დარღვევის ფაქტებს?

დიახ	1
არა	2
სხვა (ჩაწერეთ).....	

7. იცით თუ არამოსწავლისათვის შეუფერებელი ქცევის შემთხვევაში (მოსწავლის მიერ ქცევის კოდექსის, სკოლის ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დარღვევისა და სკოლის თანამშრომლების დაუმორჩილებლობის შემთხვევაში) რა სახის დისციპლინარულ ზომები და და რა სახის სახდელების დაწესების უფლება აქვს სკოლას მოსწავლის მიმართ?

დიახ	1
ნაწილობრივ	2
არა	3
სხვა (ჩაწერეთ).....	

8. იცნობთ თუ არა სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრებს?

ვიცნობ ყველა მათგანს.	1
ვიცნობ ზოგიერთ წევრს.	2
არ ვიცნობ არც ერთ წევრს.	3

9. იცნობთ თუ არა სკოლის ბიუჯეტის დოკუმენტს?

დიახ	1
არა	2

10. დასწრებიხართ თუ არა სკოლის ბიუჯეტის განხილვას?

დიახ	1
არა	2

11. იცით თუ არა რა დამატებით მომსახურებას სთავაზობს სკოლა მოსწავლეებს?

დიახ	1
არა	2
სხვა (ჩაწერეთ).....	

12. თქვენი აზრით, ექცევა თუ არა ყურადღება თქვენს სკოლაში მოსწავლეთა ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას?

დიახ	1
ნაწილობრივ	2
არა	3
სხვა (ჩაწერეთ).....	

13. მიგიმართავთ თუ არა ინიციატივით ან წინადადებით სკოლის დირექციის ან სამეურვეო საბჭოსათვის?

დიახ	1
არა	2
სხვა (ჩაწერეთ).....	

14. მონაწილეობდით თუ არა სკოლისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების პროცესში?
(შეგიძლიათ აირჩიოთ ერთი ან რამდენიმე თქვენთვის* ყველაზე მისაღები პასუხი*)

რეგულარულად ვესწრები სამეურვეო საბჭოს სხდომებს.	1
ვესწრებოდი დირექტორის მიერ სამეურვეო საბჭოსთვის ანგარიშის წარდგენას.	2
მონაწილეობას ვღებულობდი სკოლის შინაგანაწესის შედგენაში.	3
ჩართული ვიყავი სკოლის სტრატეგიული გეგმის შედგენის პროცესში.	4
ვესწრები სკოლის ბიუჯეტის დაგეგმვის შეხვედრებს.	5
ვმონაწილეობ სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებაში.	6
სკოლის გადაწყეეტილების მიღების პროცესში საერთოდ არ ვმონაწილეობ.	7
ვმონაწილეობდი ე.წ. „კლასის საათში.	8
სხვა (ჩაწერეთ).....	

15. როგორ ფიქრობთ, არიან თუ არა ჩართული სხვა მშობლები სკოლისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების პროცესში?

ბევრი ან ყველა მშობელი მონაწილეობს.	1
ზოგიერთი მშობელი მონაწილეობს.	2
ძალიან ცოტა ან არც ერთი მშობელი არ მონაწილეობს.	3
სხვა (ჩაწერეთ).....	

16. როდესაც თქვენ ან სხვა მშობელი იჩენთ ინიციატივას სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის მიზნით, როგორია სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგების დამოკიდებულება თქვენს მიმართ?

სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგები ყოველთვის განიხილავენ და ითვალისწინებენ მშობელთა ინიციატივებს.	1
სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგები ხშირად განიხილავენ და ითვალისწინებენ მშობლების ინიციატივებს.	2
სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგები ზოგჯერ განიხილავენ და ითვალისწინებენ მშობლების ინიციატივებს.	3
სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგები იგნორირებას უკეთებენ მშობელთა ინიციატივებს.	4
სხვა (ჩაწერეთ).....	

17. თქვენი აზრით, ექცევა თუ არა ყურადღება სკოლაში მოსწავლეთა უსაფრთხოებას?

დიახ	1
ნაწილობრივ	2
არა	3
სხვა (ჩაწერეთ).....	

18. თქვენი აზრით, ექცევა თუ არა ყურადღება სკოლაში გარემოს სანიტარიულ-ჰიგიენურ მდგომარეობას?

სკოლაში მოწესრიგებულია სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობა.	1
სკოლაში დამაკმაყოფილებელი სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობაა.	2
სკოლაში ცუდი სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობაა.	3
სხვა (ჩაწერეთ).....	

19. იცნობთ თუ არა მოსწავლეთა შეფასების სისტემას?

დიახ	1
არა	2

20. თქვენი აზრით, რამდენად შეესაბამება თქვენი შვილის შეფასება მისი ცოდნის ხარისხს?

შეესაბამება	1
არ შეესაბამება	2
სხვა (ჩაწერეთ).....	

21. ქვემოთ ჩამოთვლილ რომელ მოსაზრებებს იზიარებთ?

სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა ობიექტურია და შეესაბამება ცოდნის ხარისხს.	1
სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა არც ისე ობიექტურია.	2
სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა არ არის ობიექტური.	3
სხვა (ჩაწერეთ).....	

22. სჭირდება თუ არა თქვენს შვილს დამატებითი მეცადინეობა რეპეტიტორთან?

1-2 საგანში	1
3-4 საგანში	2
არც ერთ საგანში	3
სხვა (ჩაწერეთ).....	

23. თქვენი აზრით, როგორი დამოკიდებულებაა სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის?

პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის ძალიან კარგი ურთიერთდამოკიდებულებაა.	1
პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის არ არის ცუდი ურთიერთდამოკიდებულება.	2
პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის ცუდი ურთიერთდამოკიდებულებაა.	3
სხვა (ჩაწერეთ).....	

24. თანამშრომლობენ თუ არა პედაგოგები და მოსწავლეები სწავლის პროცესის მხარდასაჭერად?

(შეგიძლიათ აირჩიოთ ერთი ან რამდენიმე თქვენთვის* ყველაზე მისაღები პასუხი*)

სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები თანამშრომლობენ გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში.	1
პედაგოგები და მოსწავლეები ერთად გეგმავენ კლასგარეშე ღონისძიებებს ამა თუ იმ საგნისთვის.	2
დამრიგებელი და მოსწავლეები თანამშრომლობენ კლასის სადამრიგებლო პროგრამის შექმნის პროცესს.	3
პედაგოგები და მოსწავლეები ერთობლივად შეიმუშავებენ პროექტებს.	4
არ თანამშრომლობენ.	5
სხვა (ჩაწერეთ).....	

25. როგორ შეაფასებდით თქვენი შვილის სკოლას?

კარგი სკოლა	1
საშუალო დონის სკოლა	2
საშუალოზე დაბალი დონის სკოლა	3
სხვა (ჩაწერეთ).....	

26. რას შეცვლიდით სკოლაში?

დემოგრაფიული მონაცემები

1. თქვენი სქესი:

მდედრობითი	1
მამრობითი	2

2. ასაკი:

21-დან 30 წლამდე	1
31-დან 40 წლამდე	2
41-დან 50 წლამდე	3
51-დან 60 წლამდე	4
60 წელს ზემოთ	5

3. ხართ თუ არა სამეურვეო საბჭოს წევრი?

დიახ	1
არა	2

4. რომელ კლასში სწავლობს თქვენი შვილი:

დაწყებითი	1
V	2
VI	3
VII	4
VIII	5
IX	6
X	7
XI	8
XII	9

ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი
ოზურგეთი. გაბრიელ ეპისკოპოსის 3ა
www.apk.ge